ტებოკანი ფორტე
Tebokan® forte

აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები
პრეპარატის სამედიცინო გამოყენების ინსტრუქცია

აღნიშნული სამკურნალო საშუალების მიღების წინ ყურადღებით წაიკითხეთ ეს ინსტრუქცია!
შეინახეთ ეს ინსტრუქცია, შესაძლებელია თქვენ ხელმეორედ დაგჭირდეთ მისი წაკითხვა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი ექიმის ან ფარმაცევტისაგან. თუ საჭიროდ ჩათვლით, მიმართეთ მათ რჩევისთვის.

ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები
გლუვი, მრგვალი, წითელი ფერის ტაბლეტები, დაფარული აპკიანი გარსით.
შემადგენლობა
აპკიანი გარსით დაფარული 1 ტაბლეტი შეიცავს:
აქტიური ნივთიერებები: გინკგო ბილობას ფოთლების მშრალი ექსტრაქტი (35-67:1) (EGb 761®) – 120 მგ.
ექსტრაქტი შეიცავს 26.4–32.4 მგ ფლავონოიდებს, ფლავონ-გლიკოზიდებზე გადაანგარიშებით; 6.0–8.4 მგ ტერპენ-ლაქტონებს, მათ შორის 3.36–4.08 მგ A, B, C გინკგოლიდებს; 3.12–3.84 მგ ბილობალიდს; ასევე არანაკლებ 0.6 მკგ-ზე გინკგოლის მჟავას ერთ გარსით დაფარულ ტაბლეტში.
სხვა ინგრედიენტები (შემავსებლები): ლაქტოზას მონოჰიდრატი, მიკროკრისტალური ცელულოზა, სიმინდის სახამებელი, კოლოიდური სილიციუმის დიოქსიდი უწყლო, ნატრიუმის კროსკარმელოზა, მაგნიუმის სტეარატი, ჰიპრომელოზა 5მპა, მაკროგოლი 1500, რკინის ოქსიდი ყვითელი E 172, ტიტანის დიოქსიდი E 171, ტალკი, ქაფის საწინააღმდეგო ემულსია SE2 (სინ. WACKER SILFOAM® SE2 (დიმეტიკონი, მაღალდისპერსული სილიციუმის დიოქსიდი, α-ოქტადეცილ-ω-ჰიდროქსიპოლი (ოქსიეთილენი) – 5 (სინ. პოლიეთილენგლიკოლი და სტეარილის სპირტის ეთერი), სორბინის მჟავა, გამოხდილი წყალი.
სამკურნალო ფორმა
აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები.
ფარმაკოთერაპიული ჯგუფი
ათქ-კოდი: N06DX02.
დემენციის სამკურნალო სხვა საშუალებები. გინკგო ბილობა.
ფარმაკოლოგიური თვისებები
კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ გინკგო ბილობას ფოთლების ექსტრაქტი ზრდის მდგრადობას ჰიპოქსიის მიმართ, ხელს უწყობს სისხლის რეოლოგიური თვისებების და მიკროცირკულაციის გაუმჯობესებას.
ჩვენებები
თავის ტვინის ორგანული დაზიანებით გამოწვეული გონებრივი შესაძლებლობების შესუსტების სიმპტომური მკურნალობა კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში დემენციის სინდრომთან დაკავშირებით, რომელიც ძირითადად შემდეგი სიმპტომებით ვლინდება: მეხსიერების დაქვეითება, ყურადღების კონცენტრაციის უუნარობა, დეპრესიული მდგომარეობები, თავბრუხვევა, ყურებში შუილი და თავის ტკივილი.
ძირითად მიზნობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან პაციენტები, რომლებსაც აქვთ დემენციის სინდრომი, პირველადი დეგენერაციული დემენცია, სისხლძარღვოვანი გენეზის დემენცია ან მისი შერეული ფორმა.

გინკგოს ექსტრაქტის მიღებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ აღნიშნული პათოლოგიური სიმპტომები არ არის გამოწვეული დაავადებით, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ მკურნალობას:

- ტკივილის გარეშე გავლილი დისტანციის გაზრდა პერიფერიული არტერიების II სტადიის ოკლუზიური დაზიანებისას ფონტეინის კლასიპიკაციით (გარდამავალი კოჭლობა) ფიზიოთერაპიულ ღონისძიებებთან, განსაკუთრებით სიარულის ვარჯიშთან კომპლექსში.
- სისხლძარღვოვანი და ინვოლუციური წარმოშობის თავბრუხვევები.

თანმხლები თერაპია სისხლძარღვოვანი და ინვოლუციური წარმოშობის ყურებში შუილის დროს.

უკუჩვენებები

ჰიპერმგრძნობელობა გინკგო ბილობის ექსტრაქტის ან სამკურნალო საშუალების რომელიმე დამხმარე კომპონენტის მიმართ.

ორსულობა, ლაქტაციის პერიოდი.

18 წლამდე ბავშვები.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან

არ არის რეკომენდებული სამკურნალო საშუალება ტებოკანი ფორტეს მიღება ისეთ სამკურნალო საშუალებებთან ერთად, რომლებიც აქვეითებენ სისხლის შედედებას (მაგალითად, ფენპროკუმონი, ვარფარინი, კლოპიდოგრელი, ასპირინი და სხვა ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები), რადგან შესაძლებელია მათი მოქმედების გაძლიერება და სისხლდენის განვითარება.

არ არის გამორიცხული გავლენა სამკურნალო საშუალებების ეფექტზე, რომლებიც მეტაბოლიზდება ციტოქრომით P450 3A4, 1A2, 2C19

სხვა სამკურნალო საშუალებების, მათ შორის ექიმის რეცეპტის გარეშე გასაცემის, ერთდროული მიღების შემთხვევაში უნდა მიმართოთ ექიმს.

სიფრთხილის ზომები

ადეკვატური მონაცემების არარსებობის გამო სამკურნალო საშუალება ტებოკანი ფორტეს მიღება არ არის რეკომენდებული ბავშვებსა და 18 წლამდე მოზარდებში.

სამკურნალო საშუალების მიღება არ არის რეკომენდებული პაციენტებისათვის, რომელთაც აღენიშნებათ მაღალი სისხლდენა (ჰემორაგიული დიათეზი), სისხლდენის განვითარების რისკის მქონე პაციენტებისთვის, პაციენტებისთვის, რომლებიც იღებენ ანტიკოაგულანტურ საშუალებებს.

რადგან არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ გინკგოს შემცველმა პრეპარატებმა შეიძლება გაზარდონ სისხლდენის განვითარების რისკი, უსაფრთხოებისთვის უნდა შეწყდეს სამკურნალო საშუალება ტებოკანი ფორტეს მიღება ქირურგიული ოპერაციის წინ.

ეპილეფსიის მქონე პაციენტებში გინკგოს პრეპარატების მიღებამ შეიძლება პროვოცირება გაუკეთონ კრუნჩხვის შეტევას 4-ო-მეთილპირიდოქსინის შემცველობის გამო. ეპილეფსიის მქონე პაციენტებმა სამკურნალო საშუალების მიღებამდე უნდა მიმართონ ექიმს.

ლაქტოზას შემცველობის გამო გალაქტოზას ამტანობის იშვიათი მემკვიდრეობითი პრობლემების, ლაქტაზას დეფეციტის ან გლუკოზა-გალაქტოზის მალაბსორბციის სინდრომის მქონე პაციენტებმა არ უნდა მიიღონ სამკურნალო საშუალება ტებოკანი ფორტე.

მიღება ორსულობის და ლაქტაციის დროს

რადგან არსებობს მონაცემები, იმის შესახებ, რომ გინკგოს პრეპარატებმა შეიძლება გაზარდონ სისხლდენის რისკი, სამკურნალო საშუალება ტებოკანი ფორტე არ უნდა იქნას გამოყენებული ორსულობის დროს. ინფორმაცია სამკურნალო საშუალების კომპონენტების დედის რძეში შეღწევის შესახებ არ არსებობს. სათანადო მონაცემების არ არსებობის გამო სამკურნალო საშუალება არ უნდა მიიღოთ ძუძუთი კვების დროს.

პრეპარატის ზემოქმედება ავტოტრანსპორტისა და მექანიზმების მართვის უნარზე:

ინფორმაცია ავტოტრანსპორტის და მოძრავი მექანიზმების მართვის უნარზე გავლენის შესახებ არ არსებობს.

გამოყენების წესი და დოზები

დემენციის სინდრომი:

18 წელზე მეტი ასაკის მოზრდილები – აპკიანი გარსით დაფარული 1 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში (დილას და საღამოს). მკურნალობის ხანგრძლივობა არ უნდა შეადგენდეს 8 კვირაზე ნაკლებს. თუ 3 თვის შემდეგ დაავადების სიმპტომები არ მცირდება ან აღინიშნება მდგომარეობის გაუარესება, საჭიროა ექიმის კონსულტაცია მკურნალობის გადასახედად.

პერიფერიული არტერიების ოკლუზიური დაავადება, თავბრუხვევა, თანხმლები თერაპია ყურებში შუილის დროს:

18 წელზე მეტი ასაკის მოზრდილები – აპკიანი გარსით დაფარული 1 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში (დილას და საღამოს). ტკივილის გარეშე გავლილი დისტანციის გაზრდისათვის მკურნალობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 კვირას. 6–8 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში გამოყენება არ გამოიწვევს შემდგომ გაუმჯობესებას.

შემანარჩუნებელი თერაპია უნდა ჩატარდეს არანაკლებ 12 კვირის განმავლობაში. თუ 6 თვის შემდეგ არ აღინიშნება დადებითი შედეგი, ნაკლებად შესაძლებელია, რომ უფრო ხანგრძლივი მკურნალობა გამოიწვევს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ბავშვები და მოზარდები

პრეპარატ ტებოკან ფორტეს გამოყენება არ არის რეკომენდებული ბავშვებსა და 18 წლამდე ასაკის მოზარდებში.

პერორალური გამოყენებისათვის.

არ უნდა მიიღოთ აპკით დაფარული ტაბლეტები დაწოლილ მდგომარეობაში. აპკით დაფარული ტაბლეტები უნდა მიიღოთ დაუღეჭავად, საკმარისი რაოდენობის სითხესთან ერთად (სასურველია ჭიქა წყლის მიყოლება). პრეპარატის მიღება არ არის დამოკიდებული საკვების მიღებაზე.

გვერდითი მოვლენები

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით გვერდითი რეაქციების განვითარების სიხშირე არ არის განსაზღვრული. არსებობს ინფორმაცია ალერგიული რეაქციების განვითარების შესახებ (ჰიპერემია და კანის შეშუპება, ქავილი, ანაფილაქსიური შოკი), კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დარღვევების, თავის ტკივილის, თავბრუხვევის შესახებ, ასევე არსებული თავბრუხვევის გაძლიერების შესახებ.

შესაძლებელია სისხლის შედედების დაქვეითება და სისხლდენების განვითარება (მათ შორის ინტრაცერებრული სისხლჩაქცევები), განსაკუთრებით სისხლის შედედების შემამცირებელ სამკურნალო საშუალებებთან ერთდროული მიღებისას (მაგალითად, ვარფარინი, ასპირინი და სხვა ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები). გვერდითი რეაქციების წარმოქმნის შემთხვევაში, მათ შორის რომლებიც არ არის მითითებული ამ ინსტრუქციაში, უნდა შეწყვიტოთ სამკურნალო საშუალების მიღება და მიმართოთ ექიმს.

ვარგისობის ვადა 5 წელი.

შენახვის პირობები

ამ სამკურნალო საშუალების შენახვა არ საჭიროებს განსაკუთრებულ პირობებს. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

გამოშვების ფორმა და შეფუთვა

აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტები.

აპკიანი გარსით დაფარული 20 ტაბლეტი ბლისტერში. 1 ან 3 ბლისტერი მუყაოს კოლოფში ინსტრუქციასთან ერთად.

გაცემის წესი:

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

მწარმოებელი

დრ. ვილმარ შვაბე გმბხ და კო. კგ

ვილმარ-შვაბე-შტრასე 4, 76227 კარლსრუე, გერმანია